არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი ,, ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში, 2019 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში სპორტულ ღონისძიებებში ცენტრის აღსაზრდელთა მიერ მიღწეული შედეგებისა და გაწეული მუშაობის შესახებ

ა.ა.ი.პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი დაფუძნებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის #41 64 ბრძნებით დამტკიცებული წესდების საფუძველზე, რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და მონიჭებული გვაქვს იურდიული პირის სტატუსი, ცენტრის 100 პოცენტიანი წილის მფლობელია ბაღდათის მუნიციპალიტეტი.

მოგახსენებთ რომ 2019 წლის ა.ა.ი.პ ბაღდათის სპორტისა მოზარდთა აქტივობის ცენტრის ბიუჯეტი შეადგენს 287441 ლარს, აქედან 280 ათასი ლარით არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი სუბსიდია, 4800 ლარი არის ა.(ა).ი.პ ,, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“ დან მიღებული გრანტი, ხოლო 2641 ლარი წინა წლის ნაშთი, რომელიც გამიზნულია გასული წლის დეკემბერის თვეში ფაქტიურად გაწეული კომუნალური და სხვა ხარჯებისათვის აღებული ვალდებულებეის დასაფიანსებლად. 2019 წლის ცენტრის ბიუჯეტი მიმართულია საბიუჯეტი ხარჯების კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების დასაფინასებლად. მათ შორის : შრომის ანაზღაურება 231550 ლარი, საქონელი და მომსახურება 55741 ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდა 1150 ლარი.

დღეისათვის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 46- ადამიანს, აქედან ადმინისტრაციაში არის 7 ადამიანი, ხოლო დანარჩენი 39 დასაქმებულია სხვადასხვა სექტორებში.

2019 წლის 6 თვეში ა.(ა). ი. პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენრტის მიერ გახარჯული იქნა 154 157 ათასი ლარი, რაც წლიური ხარჯების 53.6 პროცენტს შეადგენს. ხარჯების ნახევარზე მეტის დაფინანსება გამოწვეულია იმით , რომ გრანტით მიღებული თანხა საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად დაფიანსებული იქნა პირველ კვარტალში, ამასთან ჭიდაობის 3 ტურნირიდან, რომელიც 2019 წელში გვაქვს დაგემილი და შეტანილია ჭიდაობის ფედრეაციის კალენდარში, 2 გაიმართა წლის პირველ ნახევარში, ცენტრის სპორტსმენებმა მომნაწილეობა მიიღეს ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვდასხვა კატეგორიის ტურნირებში, მთლიანად არის შესყიდული წლის მანძილზე საჭირო სამედიცინო საშუალებები და ა.შ..

მუნიციპალიტეტის დახმარებითა და საკუთარი ძალები ჩავატრეთ შენობებისა და სტადიონების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, შშმ პირებისათვის მოწესრიგდა სველი წერტილები, რისთვისაც ცენტრის ბიუჯეტიდან გამოყო დამატებით სახსრები.

ა.(ა). ი. პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის სპორტული სექტორები შედგებიან შემდეგი სექციებისაგან:

1. **თავისუფალი ჭიდაობა**
2. **ბ/რ ჭიდაობა**
3. **ჭადრაკი**
4. **კუნ-ფუ -სანდა**
5. **კრივი**
6. **კალათბურთი**
7. **ფეხბურთი**
8. **რაგბი**
9. **შ.შ.მ პირები**

სულ სპორტულ სექციებში დაოსტატებას გადის 280 აღსაზრდელი, რომლებიც წარატებით გამოდიან სხვადასხვა ტურნირებსა და ასაკობრივ ჩემპიონატებში. საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭადრაკში ჯაბა ადამია, რომელიც მონაწილეობდა ბრატისლავაში მიმდინარე ევროპის პირველობაზე, საქართველოს

პიველობაზე მე-2 ადგილი დაიკავა ლილე გუმბერიძემ. პერსპექტიული მოჭადრაკეა 6 წლის ლუკა გოგავა, რომელიც პირველობას არავის უთმობს მისი ასაკის და მასზე 2 წლით უფროსებს შორის მიღებულ ტურნირებში.

ჭიდაობაში ორივე სახეობაში (თავისუფალი, ბერძნულ-რომაული) წარმატებული სპორტსმენები უკვე მიწვეული არიან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში (კახნიაშვილი, რურუა, ცერცვაძე, მშვილდაძე) და შკრებებზე ნაკრებთან ერთად გადიან მომზადებას.

კუნგ-ფუ-სანდას მოსწავლეები რამდენიმე ტურნირში წარმატებული გამოსვილის შემდეგ მიწვეული არიან ქ.ერევანში ევროპის ჩემპიონატზე.

2019 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით ღონისძიებების გრაფიკი:

თებერვალი

1. ჭადრაკი იმერეთის ჩემპიონატი 18-24
2. ბ/რ ჭიდაობა რესპუბლიკური ტურნირი 22-24

მარტი

1.ბ/რ ჭიდაობა რ-ნის პირველობა მოსწავლეთა შორის 30 მარტი.

აპრილი

1. ბ/რ ჭიდაობა თ. ვაშაყმაძის სახელობის მე-2 რესპუბლიკური ტურნირი 12-14 აპრილი.
2. ფეხბურთი ასაკობრივ ჯგუფებს შორის ,,შიდა სასკოლო“ 19-20 აპრილი.
3. კალათბურთი, გოგონები და ვაჟები რ-ნის სკოლებს შორის 24-25 აპრილი.

მაისი

1. თავისუფალი ჭიდაობა რ-ნის პირველობა მოსწავლეთა შორის 3 მაისი.
2. საზაფხულო კროსი საჯარო სკოლებს შორის 10 მაისი.
3. შ.შ.მ პირველობა ნარდში, მაგიდის ჩონგბურთში, მკლავჭიდში და სპორტულ თამაშში ბოჩა 17 მაისი.

ივნისი

1. კრივი თენგიზ ჯაოშვილისა და სპარტაკ ასანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 26-29
2. ბ/რ ჭიდაობა საგარეჯოს მერიის თასი 21-23
3. თავისუფალი ჭიდაობა გურგენიძე ებანოიძის საერთაშორისო ტურნირი 1-3
4. თავისუფალი ჭიდაობა საერთაშორისო ტურნირი 7-9
5. თავისუფალი ჭიდაობა კაკალაძის რესპუბლიკური ტურნირი 7-9
6. თავისუფალი ჭიდაობა ქ. ფოთის ღია პირველობა 21-22
7.კ უნგ-ფუ სანდა საქართველო ჩემპიონატი 2

ა.(ა).ი პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის შედეგები:ა

თავისუფალი ჭიდაობა: მწვრთნელი მევლუდ ჯიხვაძე

22-24 თებერვალი თერჯოლა

ლუკა რურუა პირველი ადგილი

1-3 მარტი ქ. ბათუმი

ლუკა რურუა მე-2

8-10 მარტი დაბა ჩოხატაური იგორ ფანგანი პირველი ადგილი

22-24 მარტი ქ. ხაშური

ლუკა რურუა მე-2

ოთარ კახნიაშვილი მე-3

13-15 აპრილი დაბა ჩოხატაური

იგორ ფანგანი მე-2
ამირან გიგაშვილი მე-3
24-26 მაისი ქ. ხაშური
იგორ ფანგანი მე-2
როლანდ ენდელაძე მე-3
1-3 ივნისი ქ. ბაღდათი
იგორ ფანგანი და ლუკა რურუა პირველი ადგილი
7-9 ივნისი ქ.ქობულეთი
იგორ ფანგანი პირველი ადგილი
ამირან გიგაშვილი მე-3

1--ადგილი----------5
2--ადგილი----------4
3--ადგილი----------4
სულ: 13 მედალი

მწვრთნელი გია ჩხეტია
22-24 თებერვალი ქ.თერჯოლა
გურამ გუმბერიძე მე-3
8-10 მარტი დაბა ჩოხატაური
გურამ გუმბერიძე პირველი ადგილი
13-15 აპრილი დაბა ჩოხატაური
გურამ გუმბერიძე პირველი ადგილი
ამირან მეფარიშვილი მე- 3
1-3 ივნისი ქ. ბაღდათი
ამირან მეფარიშვილი მე-3
7-9 ივნისი ქ. ქობულეთი
ამირან მეფარიშვილი მე-2
გურამ გუმბერიძე მე-3

1--ადგილი----------2
2--ადგილი----------1
3--ადგილი----------4
სულ: 7 მედალი

მწვრთნელი კოტე გურგენიძე
8-10 მარტი დაბა ჩოხატაური
დათო ბურჯანაძე და გუგა აბრამიშვილი პირველი ადგილი
ემზარ ბურჯანაძე, გიორგი თოლორდავა და მერაბ თოლორდავა მე-3
17 აპრილი დაბა ხარაგაული ანზორ მაღრაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი.
დათო ბურჯანაძე, ემზარ ბურჯანაძე, გეგა აბრამიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი აბულაძე და გიორგი თოლორდავა პირველი ადგილი
მერაბ თოლორდავა მე-2
რომა მაღლაკელიძე მე-3
20-21 აპრილი ქ. ლანჩხუთი
დათო ბურჯანაძე, ემზარ ბურჯანაძე, გიორგი ბურჯანაძე და გიორგი თოლორდავა პირველი ადგილი
გუგა აბრამიშვილი, გიორგი აბულაძე და მერაბ თოლორდავა მე-3
4-6 მაისი ქ. ქუთაისი

დათო ბურჯანაძე პირველი ადგილი
გუგა აბრამიშვილი მე-3
13-15 მაისი დაბა ჩოხატაური საერთაშორისო ტურნირი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი.
დათო ბურჯანაძე , ემზარ ბურჯანაძე, გიორგი თოლორდავა, გიორგი აბულაძე და მერაბ თოლორდავა პირველი ადგილი
გუგა აბრამიშვილი და გიორგი ბურჯანაძე მე-2
24-26 მაისი ქ. აბროლაური
დათო ბურჯანაძე პირველი ადგილი
გიორგი ბურჯანაძე მე-3
1-3 ივნისი ქ. ბაღდათი
დათო ბურჯანაძე პირველი ადგილი
გიორგი ბურჯანაძე და გუგა აბრამიშვილი მე-2
7-9 ივნისი ქ. ონი
დათო ბურჯანაძე პირველი ადგილი
21-22 ივნისი ქ. ფოთი
დათო ბურჯანაძე და გიორგი თოლორდავა პირველი ადგილი
გუგა აბრამიშვილი და ემზარ ბურჯანაძე მე-3

1--ადგილი--------23
2--ადგილი--------5
3--ადგილი--------11
სულ: 39 მედალი

ბ/რ ჭიდაობა

მწვრთნელი: გოგი ვაშაყმაძე
9-13 იანვარი საქართველოს ჩემპიონატი
მათე სოფაძე მე-2
ოლეგ ნერგაძე მე-3
22-24 თებერვალი თერჯოლა
თეიმურაზ კიკნაველიძე მე-3
12-14 მარტი ქუთაისი
ნიკოლოზ მშვილდაძე მე-2
12-14 აპრილი ბაღდათი
ფრიდონ კარკაძე და ნიკოლოზ მშვილდაძე პირველი ადგილი
თემურ კიკნაველიძე და საბა სახამბერიძე მე-2
გიორგი გუმბერიძე, საბა შანავა, გურამ გიგაშვილი, ამირან კაპანაძე და ალექსანდრე კოხოძე მე-3

1--ადგილი--------2
2--ადგილი--------4
3--ადგილი--------7
სულ: 13 მედალი

მწვრთნელი: მიხეილ მელაძე
10-12 მაისი ქ. ქუთაისი
საბა შანავა, გიორგი გუმბერიძე პირველი ადგილი
თემურ კიკნაველიძე მე-2
ფრიდონ კარკაძე, გურამ გიგაშვილი, საბა სახამბერიძე და ზაზა გიგაშვილი მე-3

31 მაისს 1-2 ივნისი ქ. ონი
გურამ გიგაშვილი მე-2
ლუკა გიგაშვილი და ლუკა გარჩაკუდაშვილი მე-3
21-23 ივნისი საგარეჯო
გურამ გიგაშვილი მე-2
ლუკა გარჩაკუდაშვილი, გიორგი გუმბერიძე და თემურ კიკნაველიძე მე-3

1--ადგილი------2
2--ადგილი------3
3--ადგილი------9
სულ: 14 მედალი

კუნგ-ფუს-სანდა

მწვრთნელი: ნოდარ გიორგაძე
10 მარტი თბილისი
დიმა გენელიძე, გიორგი დევიძე და ლილე ბუბუტეიშვილი პირველი ადგილი
ნოდარ ლაშხი და ბენო ახალაძე მე-2
13 აპრილი ქ. ტყიბული
ნოდარ ლაშხი და გიორგი დევიძე პირველი ადგილი
ბენო ახალაძე, დიმა გენელიძე, გივი გელხვიიძე და ნიკა ბაღდავაძე მე-2
ლუკა გელხვიიძე მე-3
4 მაისი დაბა ხარაგაული
დიმა გენელიძე, გიორგი დევიძე, ავთო მეფარიშვილი და ლილე ბუბუტეიშვილი პირველი ადგილი
2 ივნისი ქ. ტყიბული
ლილე ბუბუტეიშვილი, დიმა გენელიძე და გიორგი დევიძე პირველი ადგილი
ავთო მეფარიშვილი მე-3

1--ადგილი------12
2--ადგილი------6
3--ადგილი------2
სულ: 20 მედალი

კრივი

მწვრთნელი: ფრიდონ თავაძე
3-7 აპრილი ზესტაფონი
დავით ხეცურიანი მე-2
26-29 ივნისი ქ. ჭიათურა
ნიკა მემერნიშვილი მე-2

2--ადგილი--------2
სულ: 2 მედალი

ჭადრაკი

მწვრთნელი: რამაზ ენდელაძე
18-24 თებერვალი ქუთაისი
ჯაბა ადამია პირველი ადგილი
ლილე გუმბერიძე მე-2
ლუკა გოგავა მე-7
8-17 მარტი თბილისი
ჯაბა ადამია პირველი ადგილი

ლილე გუმბერიძე მე-2
სწრაფი ჭადრაკში
ჯაბა ადამია მე-2
ლილე გუმბერიძე მე-3
8-21 მაისი ქ. თბილისი
კლასიკური ჭადრაკი: ჯაბა ადამია პირველი ადგილი
სწრაფი ჭადრაკი: ჯაბა ადამია პირველი ადგილი
ლილე გუმბერიძე მე-3

1--ადგილი--------4
2--ადგილი--------3
3--ადგილი--------2
სულ: 9 მედალი

რაგბი--წლის განმავლობაში მონაწილეობას ღებულობდა ფესტივალზე, სადაც მიმდინარეობდა ასაკობრივ ჯგუფებში შერჩევა, რეგიონალური და რესპუბლიკური ნაკრებისათვის მისაწოდებლად. შერჩევა ხდებოდა 2(ორ) ასაკობრივ ჯგუფში

კალათბურთი--ფესტივალი ტარდებოდა 1 ასაკობრივ ჯგუფში, სადაც ხდებოდა რეგიონალური ნაკრებისათვის მოსწავლე-სპორტსმენების შერჩევა

ბავშვთა ფეხბურთი-- ფესტივალში მონაწილეობას ღებულობს 2(ორ) ასაკობრივი ჯგუფი.

1. U-15 2004-2005 ჯ. ხაჟალიას სახელობის კალენდარული მატჩი ქ. ხაშური
2. U-12 2007-2008 გ. სიორდიას სახელობის კალენდარული მატჩი ქ.ხაშური

ფესტივალის დამთავრებისას მოხდება მოხდება წარმოჩენილი სპორტსმენების შერჩევა ადგილობრივი გუნდისთვის და ასევე რეგიონალური ნაკრებისათვის

ივნისიდან წლის ბოლომდე გასამართი ღონისძიებები:

ივლისი

1.მინი-ფეხბურთი ორგანიზაციებს შორის, სარაიონო პირველობა 1-10 ივლისი.
2.სპორტსმენების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება 20 ივლისი.
3.ტურისტული ლაშქრობა 21 ივლისი.

4. მინი ფეხბურთი სოფლებს შორის 27 ივლისი.--

სექტემბერი

1.ჭადრაკი რ-ნის საჯარო სკოლებს შორის 13 სექტემბერი.
2.მკლავჭიდი სარაიონო სკოლებს შორის 20 სექტემბერი.

ოქტომბერი

1. მ. ენდელაძის სახელობის იმერეთის რეგიონალური ტურნირი ჭადრაკში 20 ოქტომბერი.
2. საშემოდგომო კროსი 26 ოქტომბერი.

ნოემბერი

1.1-3 ნოემბერი- თავისუფალი ჭიდაობა. ბაღდათის რ-ნში თავისუფალი ჭიდაობის ფუძემდებლის გიორგი ბოგდანოვისა და გობეჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი. ასევე მოსალოდნელია დამატებით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება კალენდრის ცვლილების გამო.